



ცენტრის

# უნივერსიტეტი

7 მარტი, ორშაბათი, 2011 წ. №3 (2114)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

## სამუზეუმო ექსპონატების დაცვა ახალი ქიმიური საშუალებებით



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში საჯაროდ აღნიშნა, რომ დიდ ყურადღებას მიაქცევს კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ კი მუზეუმებში არსებული ექსპონატების შენახვა-დაცვას, რისთვისაც იგი თანხებს არ დაიმშურებს. როგორც გავარკვიეთ, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ისეთი ქიმიური კომპონიციების შესაქმნელად, რომლებიც გამოიყენება სწორედ სამუზეუმო ექსპონატების დაცვისათვის სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმების შემოქმედებისგან. ამ მიზნისთვის დარბაზის წარმოების ნარჩენ-

ბის გადამუშავებით მიღებული მასალების გამოყენება პრაქტიკაში ჯერ არ არის დანერგილი, თუმცა კვლევის შედეგი უკვე აპრობირებულია ლაბორატორიულ პირობებში და ცდამაც უკვე გაამართლა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების ინსტიტუტი გეგმავს ამ პროექტს სამუზეუმო ექსპონატების გადარჩენის მისიასთან ერთად კომერციალიზაციის ხიბლიც შესძინოს. მომავალში ეს დამატებით სახსრებსაც მოუტანს უნივერსიტეტს, თუ, რა თქმა უნდა, კვლევის შედეგებით შესაბამისი ორგანიზაციები დაინტერესდნენ. ასეთ პერსპექტივაზე დიდად არის დამოკიდებული მეცნიერების კომერციალიზაცია, რაც ჩვენს ქვეყანაში ნელ-ნელა ფეხსაც იდგამს და რის ნახალისებასაც თავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიციანი გეგმავს. ამას ადასტურებს ამავე ინსტიტუტში წარმოებული სხვა

გამოკვლევებიც, რომლის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე ხდება სხვადასხვა რეიტინგულ ჟურნალებსა და საერთაშორისო კონფერენციების კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომებით. რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით პრაქტიკაში ასეთი კვლევების დანერგვის მნიშვნელობას, ამ საკითხზე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ავანგარდული მასალების საერთაშორისო ასოციაციის (აშშ) სამეცნიერო კომიტეტის წევრი, პეტრე მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი ნოდარ ლეკვიანი გვესაუბრება, რომელიც ხსენებული მიმართულებით ჩატარებული კვლევების სამეცნიერო ხელმძღვანელი და არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების ინსტიტუტის დირექტორი გახლავთ.

ინტერვიუ მე-5 გვერდზე

თსუ-ის სტუდენტები ქუვიითში არქეოლოგიურ გათხრაში მიიღებენ მონაწილეობას

მე-2 გვერდზე

ოკუპაციის კვირული

მე-3-4 გვერდზე

ნაჩურულავი ისტორიები „ანტისაბჭოურ სიტყვიერებაში“

მე-4 გვერდზე

გაკვალული გზით არასოდეს უვლია

მე-6 გვერდზე

ქალის წარმატების „რეცეპტი“ მეცნიერებაში

მე-7 გვერდზე

საზინანსო კრიზისების პროგნოზირება და პრევენციის გზები

მე-8 გვერდზე

პირველი ქართული სახელმძღვანელო ეკონომიკურ პოლიტიკაში

მე-8 გვერდზე

„ELSA“-ს პრეზიდენტების საერთაშორისო სამიტი თბილისში

მე-9 გვერდზე

## თსუ-ის რექტორის ვიზიტი ევროპაში

17-25 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიციანი სამუშაო ვიზიტით ევროპის რამდენიმე უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებას ეწვია. ვიზიტის პირველი ნაწილი მიუხეხინს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრას და სამომავლო თანამშრომლობის დეტალების განხილვას დაეთმო. „უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრისას დაიგეგმა საზაფხულო სკოლის შექმნა მინის მენეჯმენტის კუთხით, რომელიც მომავალ ეკონომიკებს და ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს დააინტერესებთ. გარდა ამისა, გერმანული მხარე თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტს სამედიცინო სიახლეებისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში დაეხმარება, რაც ევროპული ტიპის განათლების მისაღებად აუცილებელია“, - აღნიშნა რექტორმა ალექსანდრე კვიციანმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა შეხვედრები იენის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთანაც გამართა. ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი 1558 წელს დაარსდა და ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. ვიზიტისას თსუ-ის

ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაც დაიგეგმა, რომლის კურსდამთავრებულები ორმაგ დიპლომს მიიღებენ. „იენის უნივერსიტეტთან მრავალწლიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. სასწავლებლის ბაზაზე შექმნილია ძლიერი კავკასიოლოგიის ცენტრი, რომლის განახლებაც სხვადასხვა უნივერსიტეტიდან მონვეული სპეციალისტებით იგეგმება“, - განაცხადა ალექსანდრე კვიციანმა.

თსუ-ის რექტორის თეორიული ფიზიკის ტრიესტის საერთაშორისო ცენტრში ვიზიტისას საუბარი ერთობლივ რეგიონულ კონფერენციას შეეხო, რომელიც, შეთანხმების მიხედვით, შემოდგომაზე გაიმართება. კონფერენციაზე მონვეულნი იქნებიან ფიზიკოსები და თეორეტიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან. ტრიესტის უნივერსიტეტის წარმომადგენლების ინიციატივით იგეგმება თბილისში რეგიონული სასწავლო ცენტრის შექმნა, რომელიც სხვადასხვა პროექტის განხორციელების და უცხოელი მკვლევრების მოზიდვის ნინაპირობაა.

ვიზიტის დასასრულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციის წარმომადგენლები ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრს (CERN) ეწვივნენ. „ვი-



დევე ერთი ნაბიჯით გვსურს დაეუზახლოდეთ ამ ორგანიზაციას. მომავალი წლიდან წარჩინებულ სტუდენტებს საზაფხულო სკოლაში მივაგვლით, ასევე, ჩვენი მკვლევარები ჩართვებიან გარკვეულ ექსპერიმენტებში“, - აღნიშნა თსუ-ის რექტორმა. ცერნში ამ დროისათვის მუშაობა დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარეობს, რომელშიც სხვადასხვა პრესტიჟული უნივერსიტეტის სახელით 30 ქართველი მეცნიერი მუშაობს. მათი უმრავლესობა თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. საერთო შეფასებით ვიზიტმა საინტერესოდ და ნაყოფიერად ჩაიარა. „აუცილებელია არსებული კონტაქტების გაღრმავება და გაუმჯობესება, ამასთანავე, ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორების მომზადება, რათა მათ შეძლონ აღნიშნული კონტაქტების სათანადო გამოყენება“, - განაცხადა რექტორმა ალექსანდრე კვიციანმა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



### თანამშრომლობის გაუმჯობესება თბილისის სახელმწიფო სასამართლო სისტემის სასამართლო სისტემასთან

28 თებერვალს თსუ-სა და თბილისის სახელმწიფო სასამართლოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანი და თბილისის სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძემ მოაწერეს.

„სახელმწიფო სასამართლოს მჭიდრო თანამშრომლობა დიდი ხანია გვაკავშირებს, აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ერთობლივ პროგრამებში. მათთვის ეს სწავლის პარალელურად და დატვირთი გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალებაა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანმა.

მემორანდუმის მიზანია სამართლებრივ კვლევებზე, სასამართლოს პოპულარიზაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირებული ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება. მემორანდუმი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში და სასამართლოს ბაზაზე იურიდიული კლინიკის ჩამოყალიბებასაც ითვალისწინებს.

### გაუმჯობესებული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის

თსუ-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია მრავალფეროვანი საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიოში გაზრდილი სოციალურ-კულტურული მოთხოვნების ფონზე განათლებაში შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება და განხორციელება. კერძოდ, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2011-2012 სასწავლო წლიდან არჩევითი საგნის — „მსოფლიო კულტურა“ — დანერგვის დაწყება.

ლონისძიებზე თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანი აღნიშნა, რომ „საჯარო სკოლებში „მსოფლიო კულტურის“ სწავლების შემოღება, პირველ რიგში, ქვეყანას წაადგება. ამავე დროს მომავალ სტუდენტებს დაეხმარება მსოფლიო ცივილიზაციაში გარკვევასა და საკუთარი ხედვებისა და გამოხატვის ჩამოყალიბებაში.“

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის ნათია ჯოხაძის ინფორმაციით, მეოთხე არჩევით საგნად „მსოფლიო კულტურის“ პილოტირება რამდენიმე საჯარო სკოლაში მოხდა, რომლის დროსაც ცენტრმა მშობლების, მასწავლებლების მრავალი შენიშვნა მიიღო. „მომავალი სასწავლო წლიდან ცენტრი ნიგნებითა თუ საჭირო თვალსაზრისით დაეხმარება იმ სკოლებს, რომელმაც ამ არჩევითი საგნის სასწავლო პროგრამაში შეტანა გადაწყვიტა“ — აღნიშნა ნათია ჯოხაძემ. მემორანდუმს ხელი თსუ-ის ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის ხელმძღვანელმა ნინო ჩიქოვანმა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ მოაწერეს.

### თსუ-ის სტუდენტები ქუვეითში არქეოლოგიურ გათხრებში მიიღებენ მონაწილეობას

ქუვეითში არქეოლოგიურ გათხრებში სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად თსუ-ის სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

გასული წლის 24 დეკემბერს ქუვეითის კულტურის და ხელოვნების ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ბადერ ალრიფაიმა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთობლივი სამუშაოების შესახებ. შეთანხმების თანახმად, ქუვეითში ფილაკას კუნძულზე ყოველწლიურად, ორი თვის განმავლობაში, არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს ეროვნული მუზეუმი ჩაატარებს.

პირველი არქეოლოგიური ჯგუფი ქუვეითში 2011 წლის 7 მარტიდან აპრილის ბოლომდე იმუშავებს. არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობას 15 ქართველი მეცნიერი და სტუდენტი, მათ შორის, თსუ-ის სტუდენტები მიიღებენ. პროექტს მთლიანად ქუვეითის მხარე აფინანსებს.

# თსუ-ის საპატიო დოქტორი

რადიოლოგია თანამედროვე მედიცინაში დაავადების კვლევისა და დიაგნოსტიკის მხრივ მნიშვნელოვანი დარგია. მსოფლიო სამედიცინო საზოგადოება და, მათ შორის, საქართველოც, თანდათან ეუფლება რადიოლოგიის მიღწევებს, რასაც საფუძველი სასწავლო პროგრამებში უკვე ეყრება. ამიტომ მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რაც ამ დარგში მონაწილეებმა და მეცნიერებმა გააჩინათ.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — 29 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის გამოჩენილ გერმანელ მეცნიერს, ევროპის რადიოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტს, მიუნხენის უნივერსიტეტის კლინიკური რადიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, მიუნხენის უნივერსიტეტის სისხლძარღვთა ცენტრის თავმჯდომარეს, პროფესორ მაქსიმილიან რაიზერს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. პროფესორ რაიზერს საპატიო დოქტორის დიპლომი მიმდინარე წლის 11 თებერვალს გადაეცა.

ცერემონიაზე თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანი განაცხადა, რომ მაქსიმილიან რაიზერის დონის მეცნიერის საპატიო დოქტორად არჩევა უნივერსიტეტისთვის დიდი პატივია, რადგანაც იგი არის 700-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და

მსოფლიოში ცნობილი ვენის და სტენფორდის უნივერსიტეტების მონაწილე პროფესორი. „ეს არ გახლავთ საპატიო დოქტორად არჩევის რიგითი პროცედურა, რადგან ბატონი რაიზერი უკვე წლებია უანგაროდ ეხმარება საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას და უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს რადიოლოგიის განვითარებასა და ამ დარგის სპეციალისტების აღზრდაში“, — განაცხადა ბატონმა ალექსანდრე კვიციანმა. მანვე თავის გამოსვლაში ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, რომელიც პროფესორ რაიზერთან საუბრის დროს დაისახა.

პროფესორ რაიზერს საპატიო დოქტორად არჩევა მიულოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრმა, აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ.

## ჩვენ ერთმანეთი უპვიკინეთ...



ირინა მანია

26 თებერვალს თსუ-ში პროგრამა „ერასმუს მუნდუსის“ კურსდამთავრებულთა კლუბი შეიქმნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკავშირის საგანმანათლებლო პროექტს ერასმუს მუნდუს-ში 2006 წლიდან მონაწილეობს. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ათეულობით სტუდენტს, მკვლევარსა და აკადემიურ პერსონალს საშუალება მიეცა საგანმანათლებლო, კვლევითი და კულტურული გამოცდილება აქმალიყინა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებებში.

პროგრამის ბენეფიციარ თსუ-ის სტუდენტებს, პროფესორებს და კურსდამთავრებულებს თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანი შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ევროკავშირის წარმომადგენლობის წევრები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ასევე, პროექტში ჩართული ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა ნუგზარ ჩიტაიამ პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს კლუბის დაარსება მიულოცა და აღნიშნა: „ერასმუს-მუნდუსი — ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოს მოიცავს. ამ პროექტში 200 ათასზე მეტი პიროვნებაა ჩართული, როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები. იმედი მაქვს, საქართველოს მასშტაბით

პროექტი კიდევ უფრო გაიშლება და მასში გაცილებით მეტი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას.“

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის პროექტის მენეჯერმა ოლივერ რაიზერმა „ერასმუს მუნდუსის“ პროგრამის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ ამ პროგრამის განხორციელებით ევროკავშირის უნივერსიტეტებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარდება და კავშირები გაფართოვდება.

„ჩვენ, ევროკავშირის წარმომადგენლები, მზად ვართ ბენეფიციართა კლუბის ინიციატივას შევუწყობთ ხელი და ეს წრე გავაფართოვოთ, რათა ის ცოლად და გამოცდილება, რაც ქართველმა სტუდენტებმა ევროკავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტში მიიღეს, იმ სტუდენტებს გადასცენ, ვინც სწავლის გაგრძელებას ამ პროგრამით აპირებს“, — აღნიშნა ოლივერ რაიზერმა.

თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და შეკრების ორგანიზატორმა თეა გერგედავაძემ მადლობა გადაუხადა პროგრამის მონაწილეებს, თსუ-ის ადმინისტრაციას, ევროკავშირის წარმომადგენლებს და აღნიშნა: „ეს შეხვედრა „ერასმუს მუნდუსის“ გარე თანამშრომლობის ფანჯრის ბენეფიციართა პირველი მასშტაბური შეკრებაა. ამ პროექტში სამხრეთ კავკასიისა და ევროპის 19 უნივერსიტეტი მონაწილეობს. საქართველოდან ყოველწლიურად 140 ადამიანი ამ პროგრამაში ჩართული. პროექტში თსუ-ის გარდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი მონაწილეობს. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა უნივერსიტეტში ერთი პროგრამის ფარგლებში მყოფი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დაახლოებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მათი კავშირების გააქტიურებას ემსახურება“, — განაცხადა თეა გერგედავაძემ.

„ერასმუს მუნდუსის“ კურსდამთავრებულმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სალომე ბენიძემ საინტერესოდ ისაუბრა პროგრამის მისიასა და იმ პერსპექტივებზე, რომელიც პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს სამომავლოდ ესახებათ.

„მისასალმებელია ყველა ის ინიციატივა, რომელიც ახალგაზრდები არიან ჩართულნი. ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში ახალგაზრდების აქტივობა ჩვენი სამინისტროს პრიორიტეტია და იმ ღონისძიებებს, რომლებიც ბენეფიციართა კლუბის ინიციატივით დაიგეგმება, აუცილებლად დაუჭერს მხარს. დიდი მადლობა უნივერსიტეტს, ქალბატონ თეა გერგედავას და ყველას, ვინც ამ

„მეამაყება, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მასპინძლობს ბატონ მაქსიმილიან რაიზერს, რომელსაც ბევრი რამ ექვს საქართველოსთვის გაკეთებული. მიხარია, რომ დაინყო საუბარი ხელშეკრულების გაფორმებაზე ბატონ რაიზერთან, რომლის შედეგადაც ქართველი სტუდენტები ქიურგიასა და ნეიროქირურგიაში მასთან გაივლიან მომზადებას“, — განაცხადა ფრიდონ თოდუამ. მანვე აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება და ბატონი რაიზერი უკვე არჩეულია საპატიო აკადემიკოსად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა მაქსიმილიან რაიზერმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მიუხედავად საქართველოში პირველი ვიზიტისა, უკვე მოასწრო და შეიყვარა ეს ქვეყანა და ხალხი, რასაც საფუძველი ჩაუყარა ქართველ მედიკოსებთან აქამდე დამყარებულმა კონტაქტებმა. „მადლობა ამ საპატიო წოდებისთვის და მოხარული ვიქნები თუ მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა, რაც მოიცავს როგორც სამეცნიერო, ასევე, საორგანიზაციო მუშაობას“, — განაცხადა მან.

საპატიო დოქტორის წოდების მიანიჭების ცერემონიის დასრულების შემდეგ მაქსიმილიან რაიზერმა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ნაიკითხა დეკლარაცია თემაზე: „რადიოლოგიის როლი ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკასა და მართვაში“.

კლუბის დაარსებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

პროგრამის ფარგლებში საბერძნეთში, ალექსანდრეს სახელობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. პროექტი იმით არის განსაკუთრებული, რომ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ერთად ვეუფლებოდით ცოდნას. გარდა განათლების მიღებისა, „ერასმუს მუნდუსის“ პროგრამის მთავარი მიზანია კულტურული დიალოგი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გაღრმავება. ვფიქრობ, პროექტი წარმატებით ასრულებს თავის მისიას. ჩვენ მზად ვართ, მომავალშიც შევუწყობთ ხელი ერთმანეთის წარმატებასა და დასაქმებას“, — აღნიშნა სალომე ბენიძემ.

პროგრამის კურსდამთავრებულმა ირინა მანიამ პროექტში მონაწილეობა 2008 წელს მიიღო. „პირველი ერასმუსელი ვარ! დიდი გამოცდილება შევიძინეთ როგორც სწავლის მხრივ, ასევე, ცხოვრებისეული და პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ქვეყანამ ჩვენ, ჩვენ კი ერთმანეთი შევიძინეთ!“

ბენეფიციარები მიზნად ვისახავთ — კოორდინაცია გავუწიოთ მომავალ ერასმუსელებს, რათა სტუდენტებმა ადვილად შეძლონ ადაპტირება ახალ გარემოსთან. ჩვენ მზად ვართ, მათ კონსულტაციები გავუწიოთ. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული სტუდენტი, ვინც ამ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს, არ ინანებს და ქვეყანას კვალიფიციურ კადრებს დაუბრუნდება“, — აღნიშნა ირინა მანიამ.



სალომე ბენიძე



სანივრისტიკა

საბჭოთა რუსეთი საუკუნოვანი გატომების უღელქვეშ გაგზავნილ ქართველ ხალხს სისტემატურად ართმევდა არა მარტო სახელმწიფო-ბრივი აზროვნების კარგვს, არამედ კლავდა მასში იმ გუნებრივ შებენ-ბასაც, რომ იგი არის ქართველი ერი. ამდენად იყო დამთრგუნველი მისი „პატრონობა“, რომელსაც საქართველოს მიმართ ერთი ფორმულა აქვს მუდამ: დამსჯველი მყავდი, მყავსარ და უნდა მყავდეთ. ასეთ პირობებში უნდა იყოს ქართველი ერი, რომელიც საქართველოს მიმართ სახელმწიფო მრგებანიზმად ჩამოყალიბებისთვის და მიღწეული თავისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლა. იმპერიული რუსეთის ტრანსფორმაცია დედადინის ვერც ერთმა „შემოკრუნებამ“ ვერ მოახერხა. როდესაც დამსჯველი არ ცვლის თავის ტაქტიკას და დამოკიდებულებას შენს მიმართ, შენ უნდა ეცადო — ჩანვდი მისგან თავის დახსნის ერთგვარ

ხერხს. სწორედ ამისთვის არის აუცილებელი ისტორიული განკითხვა მონაწილე ქართველებს — მის რა შეცდომებზე დასაბუჯავს ამაყად რუსეთი? როცა ისტორია წინ გიღვს და გაქვს არა ერთი მაგალითი ერის ჭეშმარიტ წინამძღოლთა ჯიჯგინსა, ეროვნული წინადავის გამოცლით ერთობის მოშლისა და ღალატისა, წარსულისა და აწმყოს სწორი გაანალიზების საფუძველზე, ალგათ, თითოეულმა უნდა გააკეთოს დასკვნა — რა არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა? „პარგად უნდა იცოდე წარსული, რათა აკონტროლო აწმყო“ — სწორედ ამ თეზისიდან გამომდინარეა საინტერესო ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები თსუ-ში, რომელიც 1921 წლის თებერვლის თანამდები მოვლენების კიდევ ერთხელ გაანალიზებისკენ მოგვინწოდებს.

# სასურველია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აუდიტორიის გახსნა

## მანია ტორაძე

„შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგინოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და, აი, მეც თქვენ დღეს იარაღისკენ მოგინოდებთ!“ — ეს არის ივანე ჯავახიშვილის მიმართვა სტუდენტებისადმი 1921 წლის 16 თებერვალს, როცა უკვე აშკარა გახდა, რომ მე-11 რუსული არმია საქართველოს მისადგომებს მოადგა და თბილისს დაცვა დასჭირდა. ეს სიტყვები უკვე ბევრ გამოცემაში დაიბეჭდა და უცხო აღარავისთვისაა, მაგრამ მიმდინარე წლის 22 თებერვალს მან კიდევ უფრო მძაფრი დატვირთვა შეიძინა, რადგანაც ამ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ დეპარტამენტი მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის ხელმძღვანელობით, მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ და თემაზე: „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“ დისკუსია გამართეს. მრგვალი მაგიდა მოეწყო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივით. როგორც ბატონმა მალხაზ მაცაბერიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: „მათ ბევრი კითხვა აქვთ 25 თებერვლის მოვლენისად დაკავშირებით, რადგანაც ეს მოვლენა კარგად არაა შესწავლილი. ამიტომ დღემდე არის უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, მათ შორის თსუ-ის იმ პერიოდის ისტორიასთან დაკავშირებით, რასეც შევეცადებით სტუდენტებს ნაწილობრივ მაინც შევეუქმნათ წარმოდგენა“, — განაცხადა მან. დისკუსიის დაწყებამდე მალხაზ მაცაბერიძემ მოკლედ მიმოიხილა 1921 წლის თებერვლის მოვლენები

და იმ პერიოდის უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, რაზეც მაშინდელი პრესა წერდა. მან აღნიშნა, რომ 1921 წლის 16 თებერვალს უნივერსიტეტი გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება, რის შესახებაც ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „სახალხო საქმე“ (18 თებერვალი, 1921 წელი). ამ დღის შესახებ მოგვიანებით (1961 წელს) უცხოეთში გამოსულ გაზეთში — „ჩვენი დრო“ გამოქვეყნდა ფილიპე შარაძის მოგონება, რომელიც წერდა, რომ 16 თებერვალს უნივერსიტეტში დაურეკავს გრ. ლორთქიფანიძეს (მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინისტრი), რომელიც საქართველოს გადასარჩენად სტუდენტების დახმარებას ითხოვდა. ფილიპე შარაძე, რომელიც იმ დროს სტუდენტთა კავშირის მდივანი იყო, იხსენებს, რომ კრებაზე დამსწრე სტუდენტები დარბაზს ვეღარ დაუტევია და ეზოში გადასულან. სწორედ იქ მიუბარ თავს ივანე ჯავახიშვილს მათთვის და ბრძოლისკენ მოუწოდებია. ამავე დროს ბოლშევიკური გაზეთი „იზვესტია“ მცდარ ინფორმაციას ავრცელებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამია, რომ „საქართველოში გაბატონებულმა თეთრმა ტერორმა მშრომელები სასონარკვეთილებამდე მიიყვანა. 11 თებერვალს იფეთქა აჯანყებამ, რომელიც 12 თებერვალს სწრაფად გაერცვლდა მთელ ნეიტრალურ ზონაში. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ მზადაა აჯანყების სისხლში ჩასახშობად, აჯანყებულები აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას“. ამგვარი ტყუილის ფონზე საქართველოში არსებული რეალობა სხვას მიუთითებდა. უკვე ფეხმოკიდებულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ერის სულიერი სიძლიერი



რის უმთავრეს კერას — უნივერსიტეტს შეუტია და მისი განადგურების პროცესი დაიწყო. რუსული სიცრუე აჯანყების შესახებ და მათი საბაზი — თითქოს საქართველოს საზღვარი „მშრომელთა და სახმარებლად გადმოკვეთეს“ 1922 წლის ერთ დოკუმენტშიც კარგად ჩანს. ამ დროს 4500-მა ქართველმა სტუდენტმა მიმართა ევროპის და ამერიკის ახალგაზრდობას. მიმართვაში წერია: „საქართველოს მინა-წყალზე შემოჭრილმა უცხო ძალამ მოინადინა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება. იგი ცდილობს მოშალოს ერის კულტურული აღორძინების უმძღვრესი ფაქტორი — სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაიწყო სტუდენტობის მასობრივი შევიწროება და ყველა მისი ორგანიზაციის დაშლა. ერის თავგანწირულ ბრძოლაში აქტიურ და პირდაპირ მონაწილეობას იღებს მთელი ქართველი სტუდენტობა“. ამ დოკუმენტში კარგად ჩანს, რატომ ეშინოდა ბოლშევიკურ და საბჭოთა მთავრობას ყოველთვის უნივერსიტეტის სტუდენტობისა და რატომაც გაძნელებული დღემდე ისტორიული სურათის სრულ

ადგენა — პარადოქსალურად განსხვავებული ინფორმაციებისა და ჩაკეტილი არქივების ფონზე, ცხადია, შეუძლებელი იყო ისტორიული პროცესების ზუსტად გადმოცემა. შეხვედრაზე, რომელსაც ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძეც ესწრებოდა, სტუდენტებმა საინტერესო კითხვები დასვეს და დისკუსიაც გამართეს. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, როგორ აიხსნება ისტორიული წყაროებით ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ გაითვალისწინა რუსეთის და თურქეთის მტრული გარემოცვა და მაგივრად თბილისიდან ჩამოვიდა ქვეყნების ჯარების შემოჭრას. გამართული დისკუსიის შემდეგ დამსწრე საზოგადოება შეთანხმდა, რომ იმ პერიოდის საქართველოს მთავრობამ, რომელსაც, ევროპის ქვეყნების მიერ საქართველოს დეფაქტო და დე იურე ცნობის გამო იმედი ჰქონდა, რომ აღარაფერი ეშუქებოდა, პოლიტიკური გულუბრყვილობა გამოიჩინა, ბრმად

ენდო რუსეთის თვალთმაქცობას და ევროპის დახმარების იმედად დარჩა, თუმცა, მას ეს დახმარება ევროპისგან არ მიუღია. ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტმა კოკა ბერძენიძემ კი საქართველოსთვის დღემდე მტკივნეული საკითხის გარკვევა მოინდომა. იგი დაინტერესდა — სად დაიბადა ქართული მინების სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის გადაცემის იდეა. ეს ბოლშევიკურ რუსეთში გადაწყდა თუ „ვაიქართველთა“ ინიციატივა იყო? ცხადია, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ძნელი გასაცემია, მაგრამ სტუდენტთა ვარაუდი მაინც გაუფრდა — მათი მოსაზრებით, ბოლშევიკებს სჯეროდათ, რომ საბოლოოდ ერთიანი საბჭოთა სახელმწიფო ყოველგვარი საზღვრების გარეშე შეიქმნებოდა და ამიტომ მიწის ეს ნაწილები საქართველომ დარჩეობდა თუ სომხეთსა და აზერბაიჯანს გადაეცემოდა, სერგო ორჯონიკიძისა და მისი დამჯავებისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დისკუსია კიდევ ბევრი კონკრეტული და საინტერესო საკითხის გარშემო წარიმართა. მრგვალი მაგიდა „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“ ძალზე საინტერესო გაკვეთილი აღმოჩნდა დაინტერესებული სტუდენტებისთვის. და ბოლოს, უნდა ითქვას ერთი მეტად საგულისხმო ინიციატივის შესახებაც: ბატონმა მალხაზ მაცაბერიძემ სტუდენტებს შესთავაზა, დაიხსნას საკითხი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე და პირველ კორპუსში გაიხსნას „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აუდიტორია“, რომელიც შესაბამისი თვალსაჩინოებით სწორედ რომ კარგი სახსოვარი იქნება იმ ადამიანების თავგანწირვისა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს შესწირეს.

# ნაწურულევი ისტორიები „ანტისაბჭოურ სიტყვიერებაში“

რეპრესიებმა, რომელიც ქართველმა ხალხმა საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში სხვა ოკუპირებული ქვეყნების ხალხებთან ერთად გადაიტანა, ერის ისტორიულ მემკვიდრეებში ღრმა ნიათარევი დატოვა. ამ ნიშნებმა, რომელიც ერთი რომელიმე კონკრეტული თარიღით არ ვამოიხატება, გონიერი და მოაზროვნე თაობა თან გაიყოლა. ადამიანები მასობრივად ეწირებოდნენ რეპრესიებს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 50-იანი წლების ბოლომდე. დრო და დრო შემდგომ პერიოდშიც იდევნებოდნენ ეროვნულობის, ენის, თავისუფლების შენარჩუნების მსურველები და ის ადამიანები, რომელთა აზროვნების თავისუფლებაც დამოუკიდებლობის იდეით ანთებული ადამიანების სულს კვებავდა. საბჭოთა იდეოლოგიურ მანქანასთან უთანასწორო ბრძოლაში ნადგურდებოდა ერის გენოფონდი, რის შედეგებასა და აღდგენას ათუელობით წლები სჭირდებოდა.

## მანია ტორაძე

საბჭოთა არქივების გახსნა მხოლოდ ბოლო ოცნელეულის განმავლობაში გახდა შესაძლებელი. სწორედ ამ პერიოდის იწყება პოლიტიკური პროცესების სრული სურათის შექმნა, ისტორიული სინამდვილის კვლევა და მოვლენათა თანმიმდევრული აღდგენა. დღეს ოკუპაციისა და რეპრესიების წლებზე მეცნიერულად დადასტურებული მასალები არსებობს, თუმცა ის, რაც შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა გააკეთა, ყველაზე ზუსტი მეცნიერული ინფორმაციაა,

რაც რეპრესიების წლების შესახებ შეიძლება არსებობდეს. ეს გახლავთ 2010 წლის ბოლოს გამოცემული წიგნი „ანტისაბჭოური სიტყვიერება“, რომლის პრეზენტაციაზე ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში 22 თებერვალს გაიმართა. წიგნის ავტორები არიან შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: რუსუდან ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი და ირმა ყველაშვილი. რედაქტორი — ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი. წიგნი ეძღვნება საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნას და მოი-

ცავს 300-მდე რეპრესირებულის ზეპირ გადმოცემას. მასში ცალ-ცალკეა მოცემული მოგონებები საბჭოთა რეპრესიების 20-30-იანი წლების, 1937 წლის, მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის, 60-70-იანი წლებისა და ეროვნული მოძრაობის დამსჯელი ღონისძიებების შესახებ. მთხრობელთა შორის არიან როგორც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ასევე, უბრალო ადამიანები, რომელთა ოჯახებმაც რეპრესიების მძიმე წლები გადაიტანეს. მასში შეხვედრით უბრალო ადამიანების გმირობისა და ვაჟაკობის დამადასტურებელ არაერთ მაგალითსაც. ამოიკითხავთ, როგორ ებრძოდნენ და ანადგურებდნენ საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, როგორ ამორებდნენ ერთმანეთს ცოლსა და ქმარს, დედას და შვილებს, ბაბუებსა და შვილიშვილებს. 20-იანი წლების მოგონებები: „მხოლოდ 1924 წელს ბოლშევიკებმა 12 000 ქართველი დახვრიტეს. ჩეკას წარმომადგენლები ყანალებს ეძახდნენ მათ, ვინც ეხმარებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მომხრეებს. გურიაში ჯალათი ობოლად სპობდა და ანადგურებდა

თავისუფლებისთვის მებრძოლთ. საკუთარი ხელით წევდა ბავშვებს და მოხუცებს, ხვრეტდა ყველას, არ ინდობდა მწყემსებსაც. გამწარებულმა გურულენმა ობოლად მოკლეს. სამაგიეროდ, ოზურგეთის ციხიდან გამოიყვანეს 13 კაცი და მისი მოკვლის ადგილზე დახვრიტეს. ობოლად დაგვირგა თბილისიდან ჩამოვიდა ტალახაძე რუსების რაზმით. ჩადგა გურიაში და შეუდგა უდანაშაულო ხალხის დახვრეტას“. (აკვირის პალიტიკის მასალებიდან). 30-იანი წლების მოგონებები: „პაპაჩემი 1933 წელში იყო რეპრესირებული, ეს მაშინ, როდესაც სტალინის დროს საქართველოდან გაასახლეს და გააკლავს ხალხი. იმ რეჟიმის დროს გასახლდა მდიდარი გლეხები. მათ შორის მოყვა პაპაჩემი ზაქარია ხოხობაშვილი და პაპაჩემის ოჯახი. თავისი შვილებით გასახლდა ციმბირში, ცელინოგრაფში. ის იმავ წელს დაიღუპა და ოჯახი დარჩა პალატკებში. 13 წელი იყვნენ გადასახლებაში ციმბირში და ფაქტურად დედ-დაჩემი იქ გაიზარდა. მხოლოდ ომის შემდეგ, 1946 წელს დაბრუნდნენ საქართველოში. დედაჩემი 3 წლისა იყო, როცა გადასახლეს ტრიალ ადგილზე

და ფაქტურად აუთვისებელი მიწები აქედან გადასახლებულმა ხალხმა აითვისა“ (კაკო ბეგლადიძე). 1937 წლის მოგონებებიდან: „როგორ მოხდა ვახტანგ კოტეტიშვილის დაპატიმრება: ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. მიზეზი ძალიან მარტივი იყო: სამშობლოს ღალატი. დაპატიმრეს სახლში. გაჩერდა მანქანა და მოვიდნენ. მის კარზეც გაიხსნა ავისმომასწავლებელი კაკუნები. იმ წამებში თითქოს მთელი ცხოვრების გადახედა მოასწრო, ფიქრები ლოგინს მიჯაჭვული შვილისკენ გაექცა... უფროსი ლილა 15 წლისა იყო, მანანა — 13-ის (ის იყო ლოგინად ჩავარდნილი), უმცროსი ვახუშტი კი 2 წლის. დედის სიკვდილს დალი დაესვა მანანას სულისა და ჯანმრთელობისთვის. მიძობ სენით დაავადებული, სარცელს მიჯაჭვული იყო, დეებს თვლიდნენ. — ცოტა ხანს მაცადეთ, შვილი მიკვდება, — სთხოვდა ვახტანგი მის ნასაყვანად მისულებს, მაგრამ ამაოდ, ყურიც არ ათხოვეს. ნაიყვანეს. ვიდრე სამუდამოდ გაიხურავდა კარს, ლილას დაუბარა — ვახუშტი გამიზარდა, ვახუშტი არ დამიჩაგრო“ (ნანა კოტეტიშვილი).



# ნაწიურული ისტორიები „ანტისაბჭოურ სიტყვიერებაში“

მესამე გვერდიდან

„გადასახლეს მამა, ბიძა და ბიძაშვილი. სამივე – 1937 წელს. ესენი გაკულაკებას ეძახდნენ, ვითომ მდიდრები იყვნენ. მდიდარი ოჯახი გვექონდა: ორი გარდერობი გვექონდა და საქონელი გვყავდა. მერე საქონელი წაგვართვეს... სკოლაში ჩემ დებს აუკრძალეს სწავლა... მერე ისინი დედასთან სწავლობდნენ, თიანეთში არ შეიძლება, რომ ესწავლა...“ (თამარ ხელაძე).

**70-იანი წლების მოგონებებიდან:**

„გათენდა 14 აპრილი. შემოვიდა მასწავლებელი და თქვა, მე მივდივარ და ვინ მომდევს? და ყველა წამოხტა კლასიდან: — მოვდივართ მოვდივართ... ჩვენი სოფელი (რუისი) ცნობილია მეტროდოლ სოფლად, მეტროდოლები იბადებიან... მეამბოხეები არიან სულით. დედაჩემი სკოლის სასწავლო ნაწილი... ერთ-ერთი მასწავლებელი შემხვდა და: ქეთოს გოგო, შენც მიდიხარ? — მეთქი მივდივარ! კომკავშირის ნიშნები არავის გვიკეთია, ყველამ ჩანთაში ჩაყარა. წამოვიდით. გზა და გზა გვიერთდებოდა. ორსაათიანი სიარულის შემდეგ სოსო მასწავლებელმა დარეკა სადაც და გახარებული გამოვიდა — გადავჩრით, გადავჩრითო... ყველას ვეუბნებოდა, რომ გადავჩრით, დედა ენა ჩვენი“ (მაია გიორგაშვილი-კაცელაშვილი).

**ეროვნული მოძრაობის წევრების მოგონებებიდან:**

„მე ყველა დახვრეტელ მიტინგში ვარ მოყოლილი, რა დახვრეტებიც იყო თბილისში პუტჩისტების მიერ მოწყობილი: დიდუბეში, ცირკთან, დელისთან, მთავრობის სახლის წინ. უბრალოდ, გადავჩრით“. (ნოდარ ჯაღალღია).

ეს არის იმ ზეპირი გადმოცემისა და მოგონების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც წიგნშია შეტანილი და რომელიც სრულად



ასახავს რეპრესიით დაზარალებული ადამიანების და ოჯახების ტრაგედიას.

პრეზენტაციაზე, რომელიც საქართველოს ოკუპაციის კვირეულს დაემთხვა, ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის, ასევე ახალგაზრდა თაობისთვის, რომელმაც კარგად უნდა გაიაზროს, რა გადაიტანა ქართველმა ხალხმა.

პრეზენტაცია გახსნა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წიგნი გამოიცა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რამაც მეცნიერთა ჯგუფს შთაბეჭდავი შედეგების მიღწევის შესაძლებლობა მისცა. ამავე პროექტის ფარგლებში გაკეთდა ვებ გვერდი „ანტისაბჭოურ

რი სიტყვიერება“ (www.asf.ge), რომელზეც შეგროვებული მასალების დიდი ნაწილი განთავსდა. წიგნზე მუშაობის პროცესში გადაღებულია სამი დოკუმენტური ფილმი, სადაც მთელი საქართველოს მასშტაბით გამოკითხული ათეულობით ადამიანსა და ოჯახის რეალური ისტორიები ასახული.

„ეს ტრაგიკული წიგნი და მისი ნაკითხვა კარგ ხასიათზე არავის დააყენებს. ერთი რამ უნდა ითქვას — ის უზარმაზარი ტკივილი, შეურაცხყოფა და დამცირება, რაც საბჭოთა პერიოდში ხდებოდა, ჭრილობებად არის ხალხში დარჩენილი. ეს წიგნი, შეიძლება ითქვას, ნაწარჩულეები წიგნი, რადგანაც აქ არის თავმოყრილი ისტორიები, რომელთა მყოფლაც ხმამაღლა არ შეიძლება და ის ჩურჩულით გადადიოდა ერთი ადამიანიდან მეორეზე — შთამომავლობაზე.“

წიგნი განუთვნილია ყველასთვის, მაგრამ ყველაზე მეტად ახალგაზრდობისთვის, მათთვის, ვისაც ეს არ უნახავს და არ განუცდია. ჩვენ გვინდა, რომ მათ წაიკითხონ იგი და ზუსტად იცოდნენ, რომ ამის გამოერება არ შეიძლება“, — აღნიშნა ირმა რატიანმა.

პროექტის ხელმძღვანელმა, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთანამორჩეულმა რუსულენოვანმა ნიგნეზ მუშაობის პროცესი და აღნიშნა, რომ ამ ზეპირი გადმოცემების შესაგროვებლად წიგნის ავტორებმა ფეხდაფეხ მოიარეს თითქმის მთელი საქართველო, რათა მოეპოვებინათ მასალა, რომელიც არც ერთ არქივში არაა დაცული. „ეს არის ადამიანების განცდები, გრძობები და ემოციები, რაც რეპრესიებს მოჰყვებოდა. ჩვენ შევეცადეთ, ყოვლისმომცველი იყო არა, ბევრისმომცველი მაინც ყოფილიყო ეს წიგნი და ამისთვის ფეხდაფეხ შემოვიარეთ თითქმის მთელი საქართველო“, — განაცხადა მან.

ფილოლოგმა ზაზა აბზიანიძემ განსაკუთრებით გამოკვეთა „ანტისაბჭოური სიტყვიერების“ დანიშნულება და აღნიშნა, რომ ამ წიგნს ზნეობრივი საჭიროება აქვს: „ჩვენ ვაღდებულები ვართ იმ თაობის წინაშე, რომელმაც გამოიარა ეს ჯოჯოხეთი და ვაღდებულები ვართ ახალგაზრდების წინაშეც, რადგან გვინდა, უკეთესები ვიყოთ...“, — განაცხადა მან.

„ანტისაბჭოური სიტყვიერების“ მნიშვნელობაზე ისევეა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც რეპრესიის წლებიდან რამდენიმე ეპიზოდს გაიხსენა: „ჩვენ მთელი ცხოვრება ამ რეჟიმში გავატარეთ და მოვახერხეთ ისე, რომ ჩვენი თავიც გამოვიტანეთ და ჩვენი საქმეც გადავარჩინეთ. ეს წიგნი ახალგაზრდებს უნდა წაიკითხონ, რადგან მე მაქვს მათთან ურთიერთობა და კარგად ვიცი, რომ ბევრი მათგანი

ვერ აცნობიერებს ამ მოვლენებს, ბევრს კი არც უნდა დაიგეგოს, რა ხდება რეპრესიების პერიოდში.“

მაგალითს გეტყვი: დედაჩემის ბიძაშვილის, ევგენი მიქელაძის დაპატიმრებისა და დახვრეტის ისტორია ყველამ იცის, მაგრამ ყველამ არ იცის, რომ მისი შემდგომი თაობაც გადასახლეს ყაზახეთში. სანამ წაიყვანდნენ, ჩვენ გავგუგუნებდით, რომ გადასახლებულად გამოხადებულები ნავთლულში და ვერ წარმოიდგინებდით, რამდენი ახლობელი ოჯახი ვნახე. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება... მე ხომ საკუთარ თავზე და ოჯახზე გამოცადე, რას ნიშნავდა ღამე მოსვლა, ჩხრეკა და ოჯახის წევრების დაპატიმრება. ეს კი გაუთავებლად გრძელდებოდა და არ თავდებოდა... ჩვენ რეპრესიების ქვეშ ვიმყოფებოდით ლექციების ქართულად კითხვის გამო, ქართული ენის შენარჩუნების გამო, პრინციპული პოზიციების გამო... ღმერთმა ნუ ქნას, მომავალმა თაობამ კიდევ ნახოს ასეთი რეპრესიები... მინდა, რომ ამ ზეპირი გადმოცემებით დასრულდეს ეს საავალალო ისტორია...“ — განაცხადა ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ.

პრეზენტაციაზე დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ ნაწყვეტები დოკუმენტური ფილმიდან „ანტისაბჭოური სიტყვიერება“. დარბაზი სულშემძრული უსმენდა უბრალო ადამიანების მონათხრობს, რომელთაც უმეტესობა წიგნშიც შევიდა.

ამ კრებულს ორმაგი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, ზეპირი გადმოცემები დიდ როლს ითამაშებს ისტორიული სიმართლის დადგენაში, მეორე მხრივ კი ამ მასალების გაცნობა ადამიანებს კიდევ ერთხელ განუმტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ამგვარი რამ აღარასოდეს უნდა განმეორდეს!

## ფილმში ასახული საბჭოთა ფაზიზმი

ნათი მობლაძე

„ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში თსუ-ში ლატვიელი რეჟისორის ედვინ შნორის დოკუმენტური ფილმის „საბჭოეთის ისტორია“ ჩვენება გაიმართა. დოკუმენტური ფილმი საბჭოთა კავშირის რეჟიმისა და ნაცისტური გერმანიის მსგავსებაზე მოგვითხრობს, რაც მათ მიერ გამოყენებულ ადამიანთა მასობრივი განადგურების საშუალებებში, სიმბოლოებსა და იდეოლოგიაში გამოხატული. ფილმის გადაღებისას ედვინ შნორმა დოკუმენტური ფოტო და კინო-მასალა გამოიყენა, რომელთა ნაწილი პიტლერის პირადი ფოტოგრაფის ჰაინრიხ ჰოფმანის კოლექციიდან არის აღებული, ნაწილი კი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოპოვებული მასალებიდან, სადაც ნაცისტების შესახებ საიდუმლო ინფორმაციაა დაცული. ფილმი „საბჭოეთის ისტორია“ ნაცისტებისა და საბჭოთა რეჟიმის ურთიერთთანამშრომლობის აქამდე უცნობ დეტალებს ასაშვარებს. მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობის სისტემა ფაშისტებმა სწორედ საბჭოთა კავშირის დახმარებით შეისწავლეს. მათ შორის გაფორმდა არაერთი ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტიც, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ წლების შემდეგ გახდა.

„საბჭოეთის ისტორიის“ გადაღების იდეის ინიციატორები ევროპარლამენტის დეპუტატები გირტს ვალდის კრიშტოვსკი და ინესა ვაიდერე არიან. ფილმში გამოყენებულია თვითმხილველებთან ინტერვიუები, მონაწილეობას იღებენ ცნობილი პროფესორები და ისტორიკოსები ნორმან დევისი და ჯორჯ უუდსონი (კემბრიჯი), ვლადიმერ სერგეიჩუკი (კიევი), ბორის სოკოლოვი, ნატალია ლეხედევა, სერგეი სლუხი (მოსკოვი), ასევე, ჯგუფ „მემორიალის“ წევრი ალექსანდრ გირანოვი, წიგნის „კომუნისტების შვილი წიგნი“ ავტორი ნ. ვერტი, ევროპარლამენტის დეპუტატი ფინეთიდან არი ვატანენი, სუკის

გენერალი კარპოვი, რუსი დისიდენტი ვლადიმერ ბიკოვსკი და სხვა.

ფილმი „საბჭოეთის ისტორია“ რეჟისორი ედვინ შნორი დანერგულია ალენის 1932-1933 წლებში უკრაინელების მასობრივი განადგურების ისტორიასაც, როდესაც პროდუქტების, მარცვლეულის მასობრივი კონფისკაციის შედეგად 1 წლის განმავლობაში 7 მილიონი უკრაინელი შიმშილით გარდაიცვალა. შემზარავი დოკუმენტური ფოტო და კინო-მასალა უფრო ცხადსა და გასაგებს ხდის იმ დანაშაულს, რომელიც საბჭოთა კავშირმა კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა, თუმცა ფილმში არაფერია ნათქვამი იმ ეთნიკური წმენდის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირის წევრ სხვა ქვეყნებში განხორციელდა და მათ შორის საქართველოშიც.

მაყურებელი ფილმში კარგად ხედავს, თუ რამდენად დიდია მსგავსება ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირის რეჟიმს შორის: სიმბოლიკა, იდეოლოგია, რომლის მთავარი არსიც ახალი ადამიანის შექმნა და ცხოვრების ახალი ფორმის ჩამოყალიბება გახლდათ. ამ მიზნის მისაღწევად მათ ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, რისი დასტურიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარე უამრავი უსახელო საერთო სასაფლაოებიც გახლდათ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფილმის „საბჭოეთის ისტორია“ გამოსვლას საერთაშორისო საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ფილმი პირველად 2008 წლის 17 ივნისს ლატვიაში ტელევიზიით აჩვენეს, სტუდიაში მიწვეულები იყვნენ ლატვიელი ისტორიკოსები, რომლებმაც იგი პროპაგანდისტულად ჩათვალეს. „საბჭოეთის ისტორიის“ ჩვენება ლატვიის სკოლებშიც მოეწყო და ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში იგი დადებითად შეაფასა. ფილმი ფინეთისა და ესტონეთის სკოლების მოსწავლეებსაც აჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ ფინეთში სასამართლოშიც შევიდა სარჩელი, რომლის მიხედვითაც რეჟისორს ედ-

ვინ შნორს სკოლებში სადიზმის დანერგვაში ადანაშაულებდნენ, ქვეყნის პროკურატურამ სარჩელი განსახილველადაც არ მიიღო, რადგან მასში დანაშაულის კვალი ვერ იპოვეს. რუსეთის ტელევიზიას კი „საბჭოეთის ისტორია“ საერთოდ არ უჩვენებია, ხოლო რუსებმა პროტესტის ნიშნად რეჟისორის ფიტულიც კი დაწვეს. რაც შეეხება საქართველოს, ედვინ



შნორის ფილმი „რუსთავი 2-მა“ 2008 წლის 19 ივნისს აჩვენა. საქართველოში, ამავე წელს, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, თავად რეჟისორიც იმყოფებოდა. როდესაც იგი ფილმის — „საბჭოეთის ისტორიის“ გადაღების მთავარი მიზანზე საუბრობდა, აღნიშნა, რომ მას სურდა არა ვინმეს დადანაშაულება, არამედ ჩვენება, რომ დაახლოებით იგივე ხდება დღესაც — გაზსადენი და ნავთობსადენი არის ზუსტად ის მიზეზი, რომლის გამოც ევროპა რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე თვალს ხუჭავს. დაახლოებით ასე მოხდა მაშინაც, როდესაც უკრაინიდან 5 მილიონი ტონა ხორბალი გავიდა და უამრავი ხალხი დაიხოცა. ევროპას კი ამაზე რეაქცია არ ჰქონია.

„საბჭოეთის ისტორიის“ დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია თანამე-

დროვე რუსეთი, ინტერნეტის საშუალებით გავრცელებული ვიდეო-ჩანაწერები, სადაც ეთნიკურ ნიადაგზე რუსეთის ნაციონალისტური მოძრაობის მიერ ჩადენილი მკვლევობები ასახული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ფილმის „საბჭოეთის ისტორიის“ ჩვენება საჯარო



სკოლებში დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის და უმაღლეს სასწავლებლებში გამართულიყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ედვინ შნორის ფილმი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ აკაკი სეფერთელაძემ წარადგინა.

„ამ ფილმში აღწერილია მხოლოდ სიმართლე. ჩვენ გამოვაცხადეთ „ოკუპაციის კვირეული“, რომლის ფარგლებში საჯარო სკოლებშიც სხვადასხვა ტიპის აქტივობები და ელემ „საბჭოეთის ისტორიის“ ჩვენებები დაგეგმილი. ეს ემსახურება ერთადერთ რამეს — ბავშვებმა სკოლის ასაკიდანვე უნდა იცოდნენ სკოლისა და ბოროტის გარჩევა. აქ საუბარი პროპაგანდაზე არ შეიძლება იყოს. მისარია, რომ ფილმის ჩვე-

ნებას ვესწრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მას თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად კიდევ ერთხელ შევაფასებ“, — განაცხადა აკაკი სეფერთელაძემ.

ედვინ შნორის ფილმის „საბჭოთა ისტორიის“ ნახვის შემდეგ თსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები კიდევ ერთხელ გახდნენ იმ ტკივილის თანაზიარნი, რაც ხალხმა საბჭოთა კავშირის პერიოდში შეეცდნენ მოკვდნენ მიმოიხილა ის ზიანი, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა საქართველოს მიყენა და პარალელური გაავლო თანამედროვე რუსეთის ქმედებებთან.

„საბჭოთა რეჟიმი 60 წლის მანძილზე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. სწორედ საბჭოთა რეჟიმმა დაანგრია საქართველოს პირველი რესპუბლიკა, სწორედ საბჭოთა რეჟიმმა გაანადგურა და სისხლში ჩაახშო ქართული ეროვნული მოძრაობა, აიძულა ათასობით ქართველი პატრიოტი — სამშობლო დაეტოვებინა... სწორედ მან გაიყვანა სასაფლაოზე 1930 წლებში არაერთი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მუსიკოსი, ხელოვანი... აღარაფერს ვამბობ თანამედროვე რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულზე — 2008 წლის აგვისტოში მოხდულ ამბებზე, იმ დიდი ტერიტორიის მიტაცებაზე, რომელიც დღესაც დაკარგულია. ჩემი აზრით, ძალიან კარგია, რომ ეს ფილმი ვნახეთ. ეს ფილმი რომ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებსაც აჩვენონ, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ისინი უფრო ადრე დაინყებენ ცუდისა და კარგის გარჩევას.“

ქართული საზოგადოება მხარში უნდა ამოუდგეს იმ საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც უნდა, რომ საბჭოთა რეჟიმი კაცობრიობის წინაშე დამანაშავედ გამოცხადდეს. დამანაშავედ უნდა გამოცხადდნენ ის ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც ლომის წილი დაიდეს ქართული რესპუბლიკის განადგურებაში“, — აღნიშნა დიმიტრი შველიძემ.



# სამუხუმო ექსპონატების დაცვა ახალი ძიებით სამუხუმო

## პირველი გვერდიდან

— ბატონო ნოდარ, ახალმა ტექნოლოგიებმა და ცხოველების დონის მკვლევარმა ზრდამ მეცნიერება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა — მეცნიერება აბსტრაქტული ჩარევებიდან გამოვიდა და უფრო „ხელშეხსნები“ გახდა, ამდენად სამეცნიერო კვლევის შედეგების პრაქტიკაში განხორციელებას სისტემური მიდგომა სჭირდება. რა კეთდება ამ მიმართულებით?

თსუ-ის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტმა თურნალი „შრომების“ I ტომი გამოსცა. პრევენციისა და პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოება მომსწრე გახდა ახალი სამეცნიერო ინსტიტუტის შრომების კრებულის გამოცემისა, რომელიც ფაკულტეტზე ცოტა ხნით შეჩერებული ტრადიციის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს. დეკანმა კრებულის ავტორებსა და რედაქტორებს ყურთაღიანი გამოცემა მიულოცა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რამდენადაც კვლევების შედეგად მიღებულ დასაბუთებულ დასკვნებს მნიშვნელოვანი ისტორიოგრაფიული ღირებულება გააჩნიათ. თურნალის გამომცემის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს დარგის სპეციალისტებს შორის აზრთა გაზიარებას და საჯარო სამეცნიერო სივრცის ჩამოყალიბებას. თსუ-ის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „შრომების“ I ტომში შესულია: „ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის“ (ნიკოლოზ სილაგაძე), „ალექსანდრე მაკედონელი და კავკასია“ (ანდრო გოგოლაძე, თემურ თოდუა), „ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობები I-II სს-ის დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ“ (ნათია ფიფია), „ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი“ (ნინო სილაგაძე), „ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი“ (მარიამ ჩხარტიანი), „საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI სს-ის ფრესკული მხატვრობის მიხედვით“ (ლერი თვალთვაძე), „ფანტასტიკური არსების“ (გვაც-კაცი) გამოსახულება XII სს-ის ერთ ქართულ ხელნაწერში“ (ელენე გოგიაშვილი), „გარნისის ბრძოლა“ (ჯაბა სამუშია), „იჭერებოდა თუ არა

გიორგაული თეთრი?“ (გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა), „ანდერძისმიერი მემკვიდრეობის“ ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით“ (ირინა გველესიანი), „გორული წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის“ (ალექსანდრე ბოშიშვილი), „საისტორიო ცნობები რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებაზე ასტრახან-მოზდოკის ქართული საეკლესიო ახალშენებისადმი“ (ქეთევან პავლიაშვილი), „კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის საკითხისათვის“ (აპოლონ თაბუაშვილი), „იყო თუ არა ივანე ჯავახიშვილი რიკერტიანელი?“ (მერაბ კალანდაძე), „საქართველო- აზერბაიჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება“ (მიხეილ ბახტაძე), „ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი)“ (დემეტრი სილაგაძე), „ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს (1939 - 1945 წწ)“ (ნიკო ჯავახიშვილი), „ქართული სოციალური რევოლუცია“ (ქეთევან გოჩიაშვილი, გიული შაბაშვილი). თურნალში წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიები მრავალფეროვანია როგორც თემატიკის, ისე პერიოდის მიხედვით, და საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში სტატიების გარდა წარმოდგენილია საერთაშორისო პრევენციები, რეცენზიები, ქრონიკა და სხვა რუბრიკები.



## პირველი ქართული სახელმძღვანელო ეკონომიკურ პოლიტიკაში

ეკონომიკური პოლიტიკის ფენომენი ყოველთვის აქტუალური იყო და არის ნებისმიერი ქვეყნისა, მათ შორის, საქართველოს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ წრეებში, თუმცა მას ხშირად აკლდა სისტემური მიდგომა. ჩვენ, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ახლად დაარსებული მიმართულების პირველი ნაკადის ყოფილ მაგისტრებს და ამჟამად დოქტორანტებს, მიგვაჩნია, რომ ამ დისციპლინის და, ზოგადად, ეკონომიკურ მეცნიერებათა განვითარებისათვის საჭირო იყო და არის მაღალი დონის, დასავლური სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო შექმნა. ამდენად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელის, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის რევაზ გველესიანისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ასოცირებული პროფესორის ირინა გოგორიშვილის ავტორობით ამ დარგში ეკონომიკური პოლიტიკის პირველი ქართული სახელმძღვანელო, რომელიც ორ წიგნად გამოიცა. სახელმძღვანელოში „ეკონომიკური პოლიტიკა“ განხილულია ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური საკითხები; ღრმად არის გააზრებული თითოეული მათგანი; გაზიარებულია ევროპული გამოცდილება და აქცენტი გაამახვილებულია განვითარების გერმანულ მოდელზე, რაც სახელმძღვანელოს კიდევ უფრო საინტერესო ხდის. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარების გერმანული მოდელი მონიშნავს ევროპულ სივრცეში. მას გააჩნია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირების წარმატებული გამოცდილება, რაც საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელოს პირველ წიგნში წარმოდგენილია ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, მიზანი და ამოცანები; ეკონომიკური შესაძლებლობების, საფინანსო, ფულადი, შემოსავლების და სოციალური პოლიტიკის მიზნები, სტრატეგიები, გამტარებლები, ინსტრუმენტები, პრობლემები და გააზრებულია ამ პრობლემათა დაძლევის გზები. მეორე წიგნი წარმოადგენს პირველის ლოკალურ გაგრძელებას და ეძღვნება ისეთი პრობლემების ანალიზს, როგორცაა: შრომის ბაზრისა და დასაქმების, საგარეო ეკონომიკური, გარემოს დაცვის, აგრარული და განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა.

წიგნის მოვლენა როგორც საბანკო, ასევე, საგანმანათლებლო სისტემისათვის. ავტორის მაღალპროფესიონალიზმსა და წარმატებულ საქმიანობაზე საინტერესოდ ისაუბრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მთავარმა ბანკირმა ირაკლი მექვაბიძემ, რომელმაც საზი გაუსვა ირაკლი კოვზანაძის მოღვაწეობას სამ ქვეყანაში: სომხეთში, საქართველოში და ზელორში, სადაც იგი წარმატებით ახორციელებს ევრო-ბანკის საინვესტიციო პროექტებს. მან ყურადღება გაამახვილა მონოგრაფიის ბოლო ნაწილზე, სადაც წარმოდგენილია საბანკო კრიზისის დაძლევისა და პრევენციის გაკვეთილები, რომლებიც ნებისმიერ ეკონომიკურ გამოწვევას მინიმუმამდე დაიყვანს. ქართველი მეცნიერის ნაშრომის აღიარება და მაღალი შეფასება უცხოელი სამეცნიერო წრეებისა და სპეციალისტების მხრიდან ქართული მეცნიერული სკოლის კიდევ ერთი გამარჯვება და წარმატებული მოღვაწეობის ნათელი მაგალითია, რაც სათავეს ტრადიციული ქართული სამეცნიერო სკოლიდან იღებს. „ამ წიგნში მოცემულია დახასიათება და სისტემატიზაცია ბოლო 30 წლის ყველა საბანკო სისტემური კრიზისისა, რომელიც გამოწვეული იყო ორი პრობლემით: სუსტი საბანკო და საფინანსო ზედამხედველობით და სუსტი კორპორატიული მართვით. გარდა ამისა, დახასიათებულია პოსტსაბანკო ქვეყნებიც, როგორც შხარდი ეკონომიკის ქვეყნები, მაგრამ, ამასთანავე, ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამოკიდებული ინვესტიციებისა და უცხოურ სესხებზე. აგრეთვე მოცემულია ის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეარჩილებს მომავალში სხვადასხვა სისტემური კრიზისის ზეგავლენას საგადასახადო ბაზრებზე“, — განაცხადა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ირაკლი კოვზანაძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და თი ბი სი ბანკის ადმინისტრაციას მასპინძლობისთვის. პროფესორ ირაკლი კოვზანაძე ავტორია 5 მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი შრომისა მათემატიკასა და ეკონომიკაში. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, იგი ეწევა აქტიურ პროფესიულ საბანკო საქმიანობას. იგი ამჟამად არის რამდენიმე ნაშრომის საბანკო და საფინანსო ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი პოსტსაბანკო ქვეყნებში, ხოლო 2007-2009 წლებში თავმჯდომარეობდა ევრო-ბანკის (EBRD) და ევროპის ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივ კომისიას საბანკო კორპორატიული მართვის საკითხებში ევრაზიის ქვეყნებში.



# აგვისტოს ომის შედეგებისადმი მიძღვნილ კრებულში თსუ-ის სტუდენტის ნაშრომიც შევიდა



## ნატო ოპოლაკა

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები არაერთხელ გააანალიზეს ექსპერტებმა, პოლიტიკოსებმა და შექმნილი ვითარების გამოსწორების გეგმებიც დასახეს, თუმცა, მათ გარდა, ქვეყნისათვის ამ ყველაზე აქტიურ პრობლემას სტუდენტებიც ეხმებიან. საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ნაწილი – სტუდენტობა, აგვისტოს მოვლენების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს. მათი პოზიცია კარგად გამოიკვეთა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მმართველობის სკოლის მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში „საქართველო – 2008 წლის აგვისტოს შედეგები“, რომელიც გასული წლის მაისში გაიმართა. მის ძირითად თემას წარმოადგენდა აგვისტოს

კონფლიქტის შემდგომ საქართველოს წინაშე წამოჭრილი ამოცანების შესწავლა შემდეგი მიმართულებების კუთხით: სახელმწიფო მმართველობა, ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და კულტურის პოლიტიკა. კონფერენციაში თბილისის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს შორის თსუ-ის ორი სტუდენტის – თამარ ურუშაძისა და ნინო ტაბუაძის ნაშრომები სამ საუკეთესო მოხსენებას შორის დასახელდა. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების II კურსის სტუდენტმა თამარ ურუშაძემ კონფერენციაზე თემა – „აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ საქართველოს წინაშე ეკონომიკის მიმართულებით წამოჭრილი ამოცანები და მომავლის ხედვები“ წარადგინა, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კულტურის მეცნიერებისა და

ხელოვნებამცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა ნინო ტაბუაძემ კი თემა – „2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი, როგორც კოლექტიური ტრავმა და მასკულტურა, როგორც მისი დაძლევის ხერხი“. მათ ფულადი პრემიები გადაეცათ.

თამარ ურუშაძისა და ნინო ტაბუაძის ნაშრომები კონფერენციის სხვა საუკეთესო მოხსენებებთან ერთად დაიბეჭდა კრებულში – „საქართველო – 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგები“. ნინო ტაბუაძის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ინიციატივითა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით გამოიცა. მისი პრეზენტაცია კი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში 17 თებერვალს გაიმართა.

ნინოს „საქართველო – 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგები“ პრეზენტაციაზე ერთ-ერთი საუკეთესო მოხსენების ავტორს თამარ ურუშაძეს გავესაუბრეთ. მისმა მოხსენებამ ყოველგვარი განსაკუთრებული მორწმუნეობა დაიმსახურა, რადგან ნაშრომში „აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ საქართველოს წინაშე ეკონომიკის მიმართულებით წამოჭრილი ამოცანები და მომავლის ხედვები“ იგი დანერგვით განიხილავს ყველა იმ ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში წარმოიქმნა. ერთ-ერთ ქვეთავში – „საქართველოს ეკონომიკის დარღობრივი ანალიზი – 2008 წლის აგვისტოს იმის შედეგები“ ჩამოთვლილია ქვეყნის ეკონომიკის მაცოცხლებელი ყველა სექტორი, რომელთა მუშაობაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ მნიშვნელოვნად შეფერხდა ან სრულიად გაჩერდა. ქვეთავში „საქართველოს ეკონომიკის ომის შემდგომ წამოჭრილი ამოცანები და სამომავლო პერსპექტივები“ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ავტორისეული ვერსიებია მოცემული. „საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნა – საინვესტიციო გარემოს მუდმივი სრულყოფა და ინვესტიციების მოცულობის მაქსიმალური ზრდა... ინვესტორ-

თათვის მიმზიდველი გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, რომლებიც ინვესტორებს ორმაგ დაბეგვრას აარიდებენ... ამ კუთხით უმთავრეს მიზნად ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადება წარმოადგენს, რადგან ის მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოელი ინვესტორების ინტერესს საქართველოსადმი“, – აღნიშნავს ავტორი.

თამარ ურუშაძის მოხსენების დასკვნით ნაწილში კარგად ჩანს, რომ ავტორი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შექმნილი ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად საერთაშორისო კავშირების გაღრმავებას მიიჩნევს.

„ახალგაზრდა დემოკრატიულმა ქვეყანამ უმოკლეს დროში გაუძლო ორ ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევას, როგორც იყო რუსეთის აგრესია და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. სწორი ეკონომიკური სტრატეგიისა და საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის მეშვეობით საქართველო შეძლებს უახლოეს მომავალში გადალახოს არსებული პრობლემები და ეფექტურად განავითაროს ეკონომიკური პოტენციალი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, რეგიონის მასშტაბით“, – წერს თამარ ურუშაძე.

თამარ ურუშაძის ნაშრომი რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეულმა ექსპერტებმა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებმა ერთ-ერთ საუკეთესოდ შეაფასეს და მე-2 საპრიზო ადგილი მიაკუთვნეს. პირველ ადგილზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შოთა გეთია გავიდა ნაშრომით – „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ქართული საბანკო სექტორის გამოწვევები“. გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ.

ნინოს „საქართველო – 2008 წლის აგვისტოს შედეგები“ წარმოდგენილი მოხსენებები და აბსტრაქტები ინგლისურ და ქართულ ენებზე დაბეჭდილი.

## სიახლე

# „ELSA“-ს პრეზიდენტების საერთაშორისო სამიტი თბილისში

## ნატო ოპოლაკა

საქართველოში პირველად ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) პრეზიდენტების საერთაშორისო სამიტი გაიმართა. ასოციაციაში ევროპის ქვეყნების წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები არიან განთავსებული, რომლებიც არაერთ საინტერესო და აქტიურ პროექტს უწევენ ორგანიზებას. ELSA-ს მუშაობის მთავარი მიზანი ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, იურისტ სტუდენტთა პროფესიონალურად ჩამოყალიბების ხელშეწყობა გახლავთ.

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) პრეზიდენტების საერთაშორისო სამიტი სასტუმრო „ჰოლიდი ინ“-ში 9 თებერვალს დაიწყო და 5 დღის განმავლობაში გაგრძელდა. ELSA-ს პრეზიდენტების საერთაშორისო სამიტზე ასოციაციის წესდების მიხედვით გაწერილი საკითხები და მუშაობის გასაუმჯობესებლად ახალი წინადადებები განიხილეს, მათ შორის ერთ-ერთ-

ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შეიქმნა და დღემდე მას თსუ-ის მაგისტრანტი ირაკლი სამხარაძე ხელმძღვანელობს.

„აღსანიშნავია, რომ საქართველომდე „ელსას“ პრეზიდენტების სამიტი გაიმართა ლისაბონში, მადრიდში, მადრიდის რესპუბლიკაში, უკრაინაში, გერმანიაში და, თავისთავად, პრივილეგიაა, რომ მათ შემდეგ სამიტს საქართველომ უმასპინძლა. მომდევნო შეხვედრა ტალინში გაიმართება. უცხოელი სტუდენტები ძალიან მოიხიბლნენ ქართული მასპინძლობითა და ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობებით.“

ასოციაციის პრეზიდენტების შეხვედრის მთავარი მიზანი ამ ორგანიზაციის წლიური სამუშაო გეგმის შემუშავება გახლდათ. 5 დღის განმავლობაში დისკუსიისას გავიანალიზეთ, თუ სად შეიძლება მომავალში გაიმართოს სხვადასხვა სახის კონფერენციები თუ სემინარები და ა.შ., – გვითხრა „ელსა-საქართველოს“ პრეზიდენტმა ირაკლი სამხარაძემ.

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის პრეზიდენტების სამიტის თბილისში გამართვას სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც ჰქონდა. 9 თებერვალს თბილისის ELSA-ს წევრი 24 ქვეყნის პრეზიდენტების გარდა ასოციაციის სხვა წარმომადგენლებიც ეწვივნენ. მათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებთანაც გამართეს შეხვედრები. „ელსას“ პრეზიდენტების მიღება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაშიც გაიმართა. თბილისში ყოფნის პერიოდში ევროპელი ახალგაზრდა იურისტები საქართველოს სამართლებრივ სისტემას, სამართლის სფეროში მიმდინარე რეფორმებს გაეცნენ, ეს ინფორმაცია მათ პირადად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილისგან მიიღეს. მიმდინარეობდა მსჯელობა, თუ რა სამართლებრივი მეთოდიკა არის დასაშვად რეფორმების დასრულებული ევროპაში. ამ საკითხებთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში, ონლაინ-რეჟიმში, ელსას 24 ქვეყნის წარმომადგენლები საკუთარ დასკვნებს და იდეებს ელსა-საქართველოს წევრებს გაუზიარებენ.

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის პრეზიდენტების საერთაშორისო სამი-



ტის გენერალური სპონსორი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო გახლდათ, შეხვედრას ფინანსური მხარდაჭერა თსუ-მაც გაუწია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ასევე, სურვილი გამოთქვა „ელსას“ საერთაშორისო საბჭოს შეხვედრის სპონსორობაც გაწიოს. ნელს საბჭოს სხდომა პოზნანსა (პოლონეთი) და პალერმოშია (იტალიაში) დაგეგმილი, სადაც „ელსა-საქართველოს“ წარმომადგენლები მომდევნო სხდომის საქართველოში გამართვის წინადადებას დააყენებენ. მხარდაჭერის შემთხვევაში მომავალ ნელს თბილისის უკვე ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის დაახლოებით 400 კაციანი დელეგაცია ეწვევა, რაც, თავისთავად, ქართული კულტურის ევროპაში წარმოჩენასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. მანამდე კი „ელსა-საქართველო“ არაერთი საინტერესო პროექტის განახორციელებლად ემზადება: ამოქმედდება სხვადასხვა ტიპის სამართლის სკოლები; გაიმართება ტრენინგები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებული 7 პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთისთვის, ასევე, იგეგმება ტრენინგები ახალგაზრდობში დებატების უნარ-ჩვევების გამომწვევების მიზნით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „ელსა-საქართველოს“ ორგანიზებით ტრენინგები გაიმართება თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაც, რაც შსს-ში მიმდინარე ცვლილებების ახალგაზრდებისთვის გაცნობას ემსახურება.

## საქართველო EPMA-ს წევრი გახდა

2011 წლიდან საქართველო ევროპის პრევენციული, პრედიქტიული და პერსონალიზებული მედიცინის ასოციაციის (EPMA) წევრი გახდა, რომლის ქოლგის ქვეშ, დღესდღეობით, 35 ქვეყანა იმყოფება. საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში EPMA-ს კოორდინატორი გახდა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მედიცინის დოქტორი, პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ექსპერტი, ექიმინოკოლოგი თამარ რუხაძე.

EPMA-ს ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მედიცინის დარგში მომუშავე პროფესიონალების კომუნიკაციას, პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურების ადვოკატირებას, დაავადების გლობალური ტვირთის შეფასებას და მასზე დაყრდნობით სამედიცინო ქმედებების დაგეგმვას, ადვოკატირებას, შესაბამისი გაიდლაინების შემუშავებასა და დანერგვას.

EPMA-ს სტრატეგიული პარტნიორი ორგანიზაციებია: ევროპარლამენტი, ევროკომისია, სტრასბურგის ევროპის სამეცნიერო ფონდი, ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი/კიბოს ეროვნული ინსტიტუტი (ვაშინგტონი, აშშ), ნევრი ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები.



# ინჟინერია ახალი დიალოგი სამყაროსთან

ადამიანის მთავარი თვისებაა აზროვნება. ღირსეული აზროვნება კი ნიშნავს არა მარტო შევნიშვნივით, არამედ შევნიშვნივით კიდევ ყოველთვის შემეცნებითი და შეფასებითი მიდგომის ყველაზე კარგ ფორმას კი წარმოადგენს მეცნიერების ფილოსოფია, რომელიც ანალიზებს ფუნდამენტურ მეცნიერებებში მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს და საზღვრებს მათ მსოფლმხედველობრივ მნიშვნელობას. სამყაროს მეცნიერული სურათის ფილოსოფიური, ეთიკური, ესთეტიკური და პოლიტიკური შეფასება კი დღეისათვის მეტად აქტუალური საკითხია. ვფიქრობ, რომ ფიზიკის დარგის აღდგენასთან ერთად, რაზეც დაინსო უკვე ლაპარაკი და რაც ნამდვილად აუცილებელია, აღდგება მეცნიერების ფილოსოფიაში კვლევის ტრადიციაც და შეიქმნება ამ მიმართულებით კადრების აღზრდის პირობები, მითუმეტეს, რომ პროექტი ამ სამუშაოს განხორციელებისათვის უკვე არსებობს.

დავტოვებ კიდევ ერთი დრო და გადავვადებ მთავარს. დაინსო რთული, წინააღმდეგობით და რისკით სავსე ახალი ეპოქა. მისი მთავარი ნიშანია ძლიერი დინამიზმი და საჭიროა ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა.

მეცნიერება ვერ იძლევა აბსოლუტურ ცოდნას სამყაროზე, ბუნებას ახასიათებს განუზღვრელობა და ეთიკურ პარამეტრებსაც გააჩნიათ ისტორიული ხასიათი. მეცნიერებაშიც და ხელოვნებაშიც შემოიჭრა „რელატივიზმი“; დაინსო ტრადიციული, კლასიკური პრინციპების მსხვერვა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაირღვა წონასწორობა. ადამიანმა დაკარგა სიმშვიდე და იგრძნო შიში.

„თითქოს მინა გამომეცალა ფეხქვეშ, თითქოს ბროლის კოპი დამენგრა თავზე“ – დაწერა აინშტაინმა; კუბისტი მხატვრის ბრაუნის აზრით, „ყოველივე ეს მოგვაგონებს მდურარე ნავთის დაღვევას“; ჰაიდეგერი-სათვის „ის, რისიც ემინა შიშს, არის ყოფნა ამ სამყაროში“; ცნობილ მეცნიერთან ი. პრიგოინთან ვკითხულობთ: „ჩვენ იძულებულნი ვართ ვიცხოვროთ პლურალისტურ სამყაროში, მაგრამ ცხოვრება ამ სამყაროში ძალიან ძნელია“; ჰაინეხბერგი შიშობს, რომ „საჭირო იქნება კიდევ ერთი ასწლეული იმისათვის, რომ ღრმად და საფუძვლიანად იმსახუროს ახალი მეცნიერული აღმოჩენები და მათი პოლიტიკური, ეთიკური და ფილოსოფიური მნიშვნელობა“, — ეს ასწლეული ჩვენი ასწლეულია.

პრობლემა „ადამიანი — სამყარო“ უძველესი პრობლემაა; იგი ყოველ ეპოქაში იღებს თავის ფორმას და შინაარსს; იცვლება ადამიანის დამოკიდებულება სამყაროს მიმართ — ქრება ძველი, იზადება ახალი, ხოლო ნაწილი არსებული კულტურისა რჩება და გადაეცემა თაობიდან თაობებს იმისათვის, რომ არ მოხდეს თაობათა შორის ღირებულებითი კავშირის წყვეტა და შევძლოთ ვიაროთ წინ ისე, რომ ქვეყანას არ დაკარგოს თავისი სახე და შეინარჩუნოს იდენტურობა. განსაკუთრებით გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში იდენტურობის პრობლემა სერიოზული პრობლემაა და მას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ისეთი ქვეყნები, როგორც: ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი.

კულტურა ეს არის აკრძალვები, ისინი განსაზღვრავენ ადამიანის მოქმედების ეთიკურ, ესთეტიკურ და სოციალურ ასპექტებს, ამყარებენ წონასწორობას საზოგადოებაში, უზრუნველყოფენ მის მდგრადობას და ახდენენ ადამიანთა გაერთიანებას და შეკავ-

შირებას ერთ მთელად. ყოველი ღირსეული ადამიანი ცდილობს დაემორჩილოს ამ აკრძალვებს, შეიზღუდოს საკუთარი თავი და იმოქმედოს ისე, რომ დაიცვას თავისი ღირსი და თავისი ქვეყნის ღირებულებები. „იქონიე ვაჟკაცობა იარსებო მთელში“ — წერდა გოეთე. ადამიანმა ყოველი მოქმედების წინ უნდა განსაზღვროს: რა უნდა, რა შეუძლია, რისი გაკეთების უფლება აქვს და რა ეკლება.

ცხოვრება მუდმივად აყენებს ადამიანს არჩევანის წინაშე: „ან-ან“ და ყველას სურს იყოს თავისუფალი ამ არჩევანში. ადამიანი ცვლის ძველს, ზოგჯერ უარს ამბობს საერთოდ ძველზე, ანგრევს მას და შემოაქვს ახალი. პროგრესი ინდივიდუალური აქტივობის შედეგია. „ვერ იქნები მშენებელი, თუ არა ხარ მგრეველი“, — წერდა ნიცშე.

ძირეულ ფასეულობათა გადაფასების პროცესი მტკიცეა. ძნელია გადაწყვიტო ამ დროს: რა უნდა წამოიღო ძველიდან და რა უნდა დატოვო წარსულში? ან რა უნდა ვაღიაროთ ახალი ფასეულობებიდან ისე, რომ არ გამოვიწვიოთ ამით ქვეყანაში ეთიკური, სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტები? ადამიანს აქვს თავისუფალი ფიქრის უფლება, მაგრამ არა აქვს უფლება იმოქმედოს თავისუფლად. მისი მოქმედება ვერასოდეს ვერ იქნება მორალურად ნეიტრალური. სიბრძნე — ეს არის გონებისა და ზნეობის ერთიანობა. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობით გონების მოღვაწეობის შედეგებმა, შესაძლოა, დიდი ზიანი მიაყენოს კაცობრიობას.

ამრიგად, მეცნიერება ხასიათდება სოციალური და ეთიკური პარამეტრებით, სამყაროსთან ადეკვატური შემეცნებითი და შეფასებითი მიდგომა კი საჭიროებს ადამიანის კომპლექსურ კვლევას. ჩვენი ეპოქა დისციპლინათმორისი კვლევის ეპოქაა, ხოლო დღევანდელი მკვლევარი — ინტერდისციპლინარულ კვლევათა ეპოქის მკვლევარი.

ასეთ ვითარებაში დიდი შეცდომა იყო განათლების სისტემის რეფორმების დროს საუნივერსიტეტო განათლების სფეროში მეცნიერების ფილოსოფიის როლის იგნორირება. მეცნიერების ფილოსოფია აახლოებს სხვადასხვა დარგებს ერთმანეთთან, ხელს უწყობს ინტერდისციპლინარულ კვლევებს და წარმოგვიდგენს უნივერსიტეტს ერთ დიდ, გამთლიანებულ ინტელექტუალურ ძალად ქვეყნის მშენებლობაში.

მეცნიერების ფილოსოფიის მთავარი პრობლემაა: ადამიანი — მეცნიერება — ჰუმანიზმი. აქ წამოწეულია წინა პლანზე მეცნიერული პროგრესის ჰუმანიტარული ასპექტი

და ისიც, რომ ყველა მკვლევარი პასუხისმგებელია თავის შემოქმედებაზე. მუშაობა ამ მიმართულებით უნივერსიტეტის წინაშე აყენებს ფილოსოფიაში თვისებრივად ახალი (სპეციალისტების ბაზაზე) კადრების მომზადების საკითხს. ამ კადრებმა უნდა შეძლონ კონკრეტული დარგების ფილოსოფიური პრობლემების ანალიზი და მოახერხონ მოცემული ცოდნის შემეცნებითი და შეფასებითი ღირებულების განსაზღვრა. ამ სახის მუშაობა ხელს უწყობს და ააქტიურებს დისციპლინათმორის კვლევებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც იუნესკო, დაწყებული 1946 წლიდან დღემდე (განსაკუთრებით 2005-2010 წლებში) ხაზს უსვამს მეცნიერების ფილოსოფიის უდიდეს როლს საუნივერსიტეტო განათლებაში. ამიტომაც იუნესკო სისტემატურად მოუწოდებს ნევრ ქვეყნებს — ამ მეცნიერებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დაუმკვიდრონ კუთვნილი ადგილი და მისცენ საშუალება, შეასრულოს თავისი ზოგადი მისია კრიტიკული თეორიული აზროვნებისა და კვლევის რაციონალური მეთოდების განვითარების საქმეში.

იუნესკოს ერთ-ერთ ამგვარ ადრეულ მონოგრაფიულ რეაგირება იყო სწორედ თავის დროზე თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე ფილოსოფიური სემინარის ჩამოყალიბება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა აკადემიკოსების ვაგან მამასახლისოვის და მათე მირიანაშვილის ხელმძღვანელობით. ამ სემინარის მუშაობა ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმის ფორმირების საქმეში მაღალ დონეზე შეაფასა ქართველ ფიზიკოსებთან სტუმრად ჩამოსულმა ნილს ბორმა თავის მოხსენებაში.

ამრიგად, მეცნიერული ფილოსოფია უშუალოდაა დაკავშირებული ფუნდამენტური დარგების პროგრესთან და იქ წამოჭრილი მსოფლმხედველობრივი ხასიათის პრობლემების კვლევებთან, გააჩნია უდიდესი ზოგად მეთოდოლოგიური მნიშვნელობა და ბიძგს აძლევს და ააქტიურებს დისციპლინათმორის კავშირებსა და კვლევებს.

დღეს მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა კიდევ უფრო მეტად შეცვალა ადამიანი, როგორც შემეცნებელი — ეთიკური, ესთეტიკური და სოციალური არსება. კაცობრიობამ დაინსო ახალი დიალოგი სამყაროსთან და გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში გონებამ მოითხოვა უსაზღვრო კომუნიკაცია. ინფორმაციის ამ უსაზღვროდ გაზრდილ ველში კი აუცილებელი გახდა ინფორმაციის მენეჯმენტი. ამან, თავის მხრივ, დასვა რეფორმის საკითხი განათლების სისტემაში და მოითხოვა თვისებრივად ახალი პედაგოგიური კადრები, რომლებიც შეძლებენ აღსაზრდელთან ინდივიდუალურ მიდგომას და მის, როგორც პროფესიონალურ, ასევე ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ფორმირებას. ამგვარი კადრების დეფიციტს განიცდის დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა.

რევოლუციური ცვლილებები დღეს იმ-

დენად დიდია, რომ ჩვენი ეპოქის სულიერი ცხოვრება ყველა სფეროში: მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, პოლიტიკა, მიმდინარეობს ძველი ფასეულობების გადაფასება; სახეზეა ძველსა და ახალს შორის ძლიერი კონფლიქტი; ყალიბდება ახალი ენა და შემოდის ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა. პარალელურად, საზოგადოებაში შეიმჩნევა სწრაფვა რაციონალური წესრიგისაკენ. ყველაზე ავტორიტარული ძალა კი, რომელსაც შეუძლია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი დისციპლინის რაციონალური მოთხოვნები, არის მეცნიერება. მეცნიერულ არგუმენტაციას ძალა აქვს ნებისმიერ დისკუსიაში და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი პარტია წამოაყენებს ამ არგუმენტს. მეცნიერება დგას პირად და ეგოისტურ ინტერესებზე მაღლა და არის საზოგადოების მორგანიზებელი ის ძირითადი ძალა, რომელსაც შეუძლია ყველაზე კარგად გააერთიანოს და შეაკავშიროს სოციალური. მეცნიერება ასწავლის ადამიანს, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილება არის რისკი და პასუხისმგებლობა; იგი არის საზოგადოების გონიერული ორგანიზაციის საფუძველი და ხელს უწყობს ინდივიდის სწრაფ სოციალიზაციას.

XXI საუკუნე ითხოვს ახალ თეორიულ სინთეზს. მის მისაღწევად კი საჭიროა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს დაახლოება და ურთიერთკავშირი. მეცნიერება, ფილოსოფია და ხელოვნება კი სოციალური მოღვაწეობის სწორედ ის სფეროებია, სადაც ხდება ინდივიდის პროფესიონალური, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ფორმირება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე, თავის დროზე საფუძველი ჩაეყარა მეცნიერების ფილოსოფიური პრობლემების კვლევას; დაინსო ფილოსოფიის კითხვა პროფილის მიხედვით; გამოქვეყნდა სალექციო კურსები დარგობრივ ფილოსოფიაში ფიზიკოსებისა და მათემატიკოსებისათვის, ჩატარდა სტუდენტთა 4 საკავშირო კონფერენცია ფიზიკის ფილოსოფიურ პრობლემებზე... გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ (1972 წ. 30 აპრილი) ერთ-ერთ ნომერში აკადემიკოსი ვ. მამასახლისოვი წერდა: „მომხსენებელთა უმრავლესობაში გამოვლინდა სტუდენტთა მიერ თანამედროვე ფიზიკისადაფილოსოფიის ღრმაცოდნადისიცი, რომ ფიზიკის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სწავლება მაღალ დონეზეა დაყენებული.“

მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ, როდესაც ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს, რასაც დროც ითხოვდა, ნაცვლად ამისა, უნივერსიტეტში ჩატარებული რეფორმის შედეგად ფიზიკის ფაკულტეტთან ერთად მეცნიერული ფილოსოფიის დარგიც ჩაიძირა. სასურველი იქნებოდა ამ პრობლემაზე უფრო ფართო მსჯელობა, მრგვალი მაგიდის სახით, რათა ამ დარგს მომავალში მაინც ფართო გასაქანი მიეცეს.

გილდა სინხარულიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

## მოგონება

# ლაგაზად დამთავრებული სიცოცხლე



გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ციალა სვანიძე იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომელთაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება-გაძლიერების სიმძიმე, როგორც წინა თაობის საქმის გამგრძელებლებმა, თავიანთ მხრებზე ზიდეს. როდესაც პროფესორ ციალა სვანიძეზე წინა გამოცდა, მისი საყვარელი ფრაზა წარუშლვარეს წინ: „მანახეთ თქვენი გოლგოთა ერთხელ და ჩემს ჯვარს თავად ავიტან მთაზე“. მან ეს ჯვარი ღირსეულად ატარა ბოლომდე.

ციალა სვანიძე ღირსეულად გააგრძელა ქართული გეოლოგიური ფუძემდებლების

ალექსანდრე ჯანელიძის, აკადემიკოს ივანე კაჭარავას, ივანე კახაძის, მედეა უზნაძის ტრადიციები.

გეოლოგია მოძრავი უნდა იყოს, მინას არ უნდა მოშორდეს, აუდიტორიაში სტუდენტს ისე ვერ გაიცნობ, როგორც ბუნების ნიაღში — ასეთი იყო მისი აზრი. ბოლო წუთამდე, ვიდრე უნივერსიტეტში იყო, მიუხედავად თავისი ასაკისა, ყოველ გაზაფხულზე სტუდენტებთან ერთად სასწავლო-საველე პრაქტიკებს ატარებდა. მას თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა სტუდენტების მიმართ. „ისინი ჩვენს თაობაზე არა თუ ნაკლები, უკეთესნიც კი არიან“, — იტყოდა ხოლმე. თითოეული სტუდენტის ჭირ-ვარამი იცოდა და შეძლებისდაგვარად გვერდით ედგა მათ. ამიტომაც შეარქვეს „დედა-ციალა“. მას თავისუფლად მიესადაგებოდა იოსებ ნონეშვილის ლექსი: „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“. უამრავი მადლობის წერილი ინახება მის არქივში სტუდენტებისაგან გამოგზავნილი. ვინ იცის, რამდენისთვის მიუცია იმედი იმის მტკიცებით, რომ სიკეთე უფრო ძლიერია, ვიდრე ბოროტება. ქალბატონმა ციალამ მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა, დააკვლიანა და მეცნიერებას აზიარა. მისი ხელდასმით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო

დისერტაციები. ისინი დღეს წარმატებით მოღვაწეობენ უნივერსიტეტის კედლებში და გეოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

იგი ყოველთვის იყო მისაბაძი ახალგაზრდებისთვის — თუ როგორ უნდა იცხოვრო და იღვანო შენი ქვეყნისთვის. სიკეთის კეთება, ყველა გაჭირვებულის დახმარება — ასეთი იყო მისი კრედიტო. ქალბატონი ციალა არ იფარგლებოდა მარტო გეოლოგიური მეცნიერების სფეროში მოღვაწეობით. 40 წელი სათავეში ედგა ქალთა საკრებულოს. არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, მისი ხელი რომ არ დატყობოდეს. მარტო ბარისახოს სკოლას 500-ზე მეტი მიწის უსახსოვრა. ასევე წერაქვის, ტანძის და მაღალმთიანი აჭარის სოფლის სკოლებისთვის ჩატანილი აქვს სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვილობა თუ ტექნიკური მოწყობილობა, რის გამოც შენუხებული ყავდა სამინისტროების წარმომადგენლები. მოხუცი, პენსიონერი, მარტოხელა პედაგოგების, ლტოლვილების, სამონასტრო ბერების (რომლებიც შორეულ ადგილებში მდებარე მონასტრებში მოღვაწეობდნენ) დახმარება და მეთვალყურეობა მას ერთგვარ სამოქალაქო საქმედ კი გვრიადა. რა თქმა უნდა, მას და მის საკრებულოს ყოველთვის გვერდით ედგნენ უნივერსიტეტის რექტორები და პრორექტორე-

ბი. განსაკუთრებით გამოყოფილი ბატონი როინ მეტრეველსა და თემურ ხუროძეს.

მრავალმხრივი იყო მისი შემოქმედება. იგი ისევე გრძნობდა ლექსის ყოველ სტრიქონს, როგორც თავის ძირითად სპეციალისტს. პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულს რამდენი ახალგაზრდა პოეტის ლექსების წიგნის პრეზენტაციები აქვს გაკეთებული, ჩამოთვლაც კი გაჭირდება. ასევე არაერთი გამოფენის მოწყობაში მიხმარებია ახალგაზრდა მხატვრებსაც. იგი თავგადასავალი მკითხველი იყო კლასიკური, ისტორიული და სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურისა. მას ჰქონდა მეცნიერისათვის აუცილებელი თვისება, ნიჭი და შრომის უნარი. ალბათ, ამიტომაც მიაღწია მან დიდ წარმატებებს ცხოვრებაში. გამოქვეყნებული ჰქონდა 2 მონოგრაფია და 60-ზე მეტი ნაშრომი. ძნელია, ქალბატონი ციალა სვანიძის მიერ განვლილი გზის აღწერა ასე ერთი ამოსუნთქვით დაწერო... იმდენად დიდია მისი არყოფნით გამოწვეული ტკივილი, რომ გვინდა, ყოველ წუთს გავიხსენოთ და მისი მშფოთვარე სული ჩვენს გარემოცვაში მუდამ ვამყოფოთ...

ქალთა საკრებულო, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტი







# „გაუსედნავი აზრები“ ველის კვანტური თეორიის თანხლებით

## შურთინა ბაროვილი

ხუთ მილიარდ წელიწადში მზე ჩაქრება! — წუთუ ეს ასე ზუსტად იციან ფიზიკოსებმა? იქნებ, ამ დროს, პოეზიამ გვიშველოსო! — ამას კი ნამდვილად ფიზიკოსი ვარაუდობს, რომელსაც მიაჩნია, რომ პოეზია ადამიანის გარკვეული პროტესტის გამოხატულებაა იმის გამო, რომ მისი შესაძლებლობები სამყაროში საკმაოდ შეზღუდულია (როგორც ლევ ტოლსტოი თავის რომანში „ომი და მშვიდობა“ მისთვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობით აღნიშნავს, ისეთი უბრალო ქმედებაც კი, როგორც ხელის ზევით აწევვა, ჩვენგან გარკვეულ ძალდატანებას მოითხოვს და ეს შეგვახსენებს ჩვენს „მოცემულობას“, შეზღუდულობას). პოეზიის სამყაროში კი ადამიანს ყველაფერი შეუძლია — მთვარის მონყევაც, დედამიწის გაჩერებაც... ადამიანის ამგვარი მცდელობები (რეალობის შეგრძნების დროებითი და ნებაყოფლობითი აწმენა) პოეზიაში დაშვებული ერთგვარი ფანტაზიის ნაყოფია, რასაც საფუძველს ფსიქოლოგიური ფაქტორიც უმყარებს, — წერს პოეზიაზე შეყვარებული ფიზიკოსი, თსუ-ის მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტის ველის კვანტური თეორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-მკვლევარი და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი თემურ ნადარეიშვილი, რომელიც ფიზიკაზე შეყვარებულ შემოქმედდაც შეიძლება მოვისხენით.

ველის კვანტური თეორია და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა, რომლებიც დრო-სივრცისა და მატერიის უზოგადეს კანონზომიერებებს სწავლობენ, მისი საყვარელი დარგია... მეცნიერის დისერტაცია კვანტური მექანიკის საწყისი ძირების თავიდან გააზრების მცდელობაა... ამ თემას მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომიც, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მიხვდა, რომ მაქს პლანკის, ჰეიზენბერგის, შრედინგერის, დირაკის, აინშტაინის თეორიების და თეორემების შესწავლის შემდეგ კიდევ დარჩა პასუხგაცემელი კითხვები, რაზეც ფიზიკა — როგორც ამას თავად უწოდებს — „მკვდარი სამყაროს“ შემსწავლელი მეცნიერება, უძლურია

და ეს მხოლოდ „ცოცხალ სამყაროსთან“ ურთიერთობითაა შესაძლებელი. უკვე აღარავისთვის წარმოადგენს სიახლეს მისი გამოჩენა და აქტიურობა



შემოქმედებით საღამოებზე, სხვადასხვა ავტორთა წიგნების პრეზენტაციებზე... მას არაერთ გამომცემლობაშიც ხედავენ, რადგან მისი თარგმანები და ლიტერატურული ესეები თუ ჩანახატები ხშირად იბეჭდება ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, წერს წიგნების რეცენზიებსაც...


„ხშირად გაიგონებთ ასეთ სასონარკვეთილ ფრაზას: „რა დროს ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება — ქვეყანა იქცევა!“, მაგრამ საკითხის ასე დასმა არ არის სწორი, რადგან, ჩემი აზრით, სწორედ იმიტომ „იქცევა“ ქვეყანა, რომ სათანადო დონეზე არ დგას ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება... ან კიდევ, ეს აზრი მართებული რომ ყოფილიყო, მაშინ საქართველოში არაფერი არ უნდა შექმნილიყო ჩვენი ისტორიის მანძილზე — იმდენად აუტანელი და მძიმე იყო ჩვენი ყოფა გაუთავებელი შემოსევების გამო“, — ამბობს თემურ ნადარეიშვილი. მისთვის ხელოვნება „სულიერი მდგომარეობის ანარეკლია“, ამიტომაც ცდილობს ჩანაწერებში „დაატყვევოს“ საკუთარი ფიქრები, რომელსაც იგი „სულის ფოტოგრაფიებს“ უწოდებს.

„ცნობილ ფრანგ ფოტოხელოვანს ანრი

ბრესონს არ უყვარდა ე.წ. „დაყენებული“ კადრები და ამიტომ, სანამ ადამიანს ფოტოს გადაუღებდა, დიდხანს ესაუბრებოდა და საუბრის პროცესში მისი „გახსნისას“ ფოტოს მოულოდნელად იღებდა ხოლმე. ამით იგი ადამიანთა სულიერი „მოძრაობის“ დაფიქსირებას აღწევდა“, — ამბობს იგი ერთ თავის ჩანაწერში.

კითხვა ყოველთვის უყვარდა, განსაკუთრებით პოეზია... შექსპირი მამამ შეაყვარა, მეორე კურსზე კი დოსტოევსკის შემოქმედებამ გაიტაცა. წერა მოგიანებით, 40 წლის ასაკში დაიწყო. თავის ამ გატაცებას „ომარ ხაიამის სინდრომს“ უწოდებს, რომლის ძირითადი პროფესია ასტრონომია ყოფილა. „აბა, ახლა ვიღას ახსოვს ხაიამის ასტრონომია, განა მისი რობაიები უფრო მნიშვნელოვანი არ არის კაცობრიობისთვის?“ — ღიმილით კითხულობს ბატონი თემური.

„ფშაური დღეურები“, „სცენები ფაუსტიდან“, „ზოგიერთი მოსაზრება „ჰამლეტის“ ცალკეული ადგილების თარგმანის



შესახებ“, „ლიტერატურული ჩანახატები“ — ეს არასრული ჩამონათვალა იმ ესეების, რეცენზიების და წერილებისა, რაც თემურ ნადარეიშვილის შემოქმედებას მოიცავს. ლიტერატორებისთვის ცნობილია, ასევე, მისი მთარგმნელობითი საქმიანობაც. მან თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, ცვეტაევის, ბლეიკის, ბროდსკის, შექსპირის ნაწარმოებები. ამაჟამად ერთი ოცნება აქვს — ყველაფერს

თავი მოუყაროს და წიგნად გამოსცეს. და კიდევ... რობერტ სტურუას შეხვედეს და შექსპირის შესახებ ესაუბროს. ახლა სწორედ შექსპირის თარგმნით არის გატაცებული. ზოგჯერ კითხვაზეც შექსპირის რომელიმე პერსონაჟის სიტყვებით გვპასუხობს. ამბობს, რომ როდესაც ფორმულების სიმკაცრე და „მკვდარ სამყაროში“ „ხეტილი“ ბეზრდება, პოეზიისკენ გარბის, თუმცა ხანდახან როცა იქაც იწყებს, უკან გამობრუნდება... „ეს ორი სამყარო არა თუ თანაარსებობს ერთმანეთთან, უერთმანეთოდ ვეღარც კი ძლებენო“, — ამბობს შემოქმედი ფიზიკოსი, რომელმაც თავის ჩანაწერებში „დაატყვევა“ ფიქრები: „ტვიზნი ფიქრების სამჭედლოცაა და სატუსალოც, რადგანაც მხოლოდ ტვიზნი იბადება, იქედება“ ფიქრები, შემდგომ კი მესხიერების უთვალავ „საკანთავან“ ერთერთში ხდება მათი დატყვევება სხვადასხვა ვადით, ზოგიერთ მათგანს კი სამუდამო პატიმრობა აქვს „მისჯილი“ — ძალზე ღრმა აზრი ხომ ხშირად მთელი ცხოვრება გვახსოვს.

მისი აზრით, „ზემოდან უკეთ ჩანს დედამიწა, უფრო უმნიშვნელო და სასაცილოც კი გვეჩვენება ადამიანური ვენებები და ამიტომაც შენც უფრო გლობალურად, ღრმად აზროვნებ.“

სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, ბატონ თემურს მუდმივად ახსოვს გასული საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის რიჩარდ ფეინმანის გამოცხადება: „ბუნებას არ იცის დაყოფა ფიზიკად, ქიმიად, ბიოლოგიად, ფსიქოლოგიად და ა.შ. უბრალოდ ერთი ადამიანის გონება ვერ წვდება ყველაფერს და ამიტომ მოხდა ეს ხელოვნური დაყოფა!“ და თვითონაც ცდილობს მთლიანობაში აღიქვას ბუნება. ალბათ, ამ მისწრაფების გამოხატულებაა მისთვის ორი „მუზის“ სამსახურიც...

ასე შეუმჩნეველად გადიან წლები, ბევრი რამ იცვლება ჩვენს ცხოვრებაში... უცვლელია მხოლოდ მუდმივი „ბავშვური“ გაოცება და აღტაცება სამყაროს შემოცნებისადმი, რომელსაც ბატონი თემური ფორმულებითა თუ „დაუფარცხელი“ აზრების საშუალებით გამოხატავს.



## საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში გამარჯვებული

2011 წლის 7 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით იტალიის ქალაქ აგრინჯენტოში მიმდინარეობდა 56-ე საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა 15 ქვეყანა მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან. ფესტივალს დიდი ტრადიციები გააჩნია, რომელიც სათავეს 1955 წლიდან იღებს და ყოველწლიურად იმართება. ფესტივალს დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში. მასზე დასასწრებად ქალაქს ხშირად მეზობელი ქალაქებიდანაც სტუმრობენ. კონცერტის ბილეთების შეძენა თითქმის შეუძლებელია ხოლმე, ხოლო ფესტივალის დახურვის დღეს ქალაქის ქუჩები იკეტება და ეწყობა მსვლელობა მისი მონაწილეების პატივსაცემად.

წელს ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტი“ ქორეოგრაფ დავით კიკვაძის ხელმძღვანელობით და პირველი ადგილი მოიპოვა.

გასულ წელს კი ამავე ფესტივალში მონაწილეობდა უნივერსიტეტის ბავშვთა (6-15 წლამდე) ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი 2“ (ქორეოგრაფი დავით კიკვაძე). მათ დიდი მონაწილეობა დაიმსახურეს და გრან-პრი გადაეცათ.



მთავარი რეჟისორი	ნინო კაკულია	რეჟისორების წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანი, იაკო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რეჟისორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოგრაფი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი ნიქარიშვილი		22 36 62